ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01200663075**
თარიღი: **06/03/2020**
პინი: **0923**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც, „სამსახური“) განიხილა, თქვენი 2020 წლის 4 მარტის N60-01200642425 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (ბორის ხატიაშვილის AR1726357 განცხადება), რომლითაც განმცხადებელი ითხოვს, თავის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქალაქი თბილისი, დასახლება ქინძმარაულის ქუჩა N5, ს.კ.:01.19.34.003.045; ფუნქციური ზონა: სზ-6;) IV კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, წარმოდგენილი გამწვანების პროექტის შეთანხმებას.

გაცნობებთ, რომ მოცემული პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (არსებული 3 ძირი კანადური ვერხვი, ასევე, დასარგავი 5 ძირი იტალიური ფიჭვი, 5 ძირი კავკასიური ცაცხვი, 1 ძირი ჩვეულებრივი ნუში და 13 იაპონური ჭანჭყატი, **სულ - 14 ძირი ხე და 13 ძირი ბუჩქი)** სრულად ითვისებს, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 5 ნოემბრის №4737853 ბრძანებით დადგენილ სავალდებულოდ ასათვისებელ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (250 კვ. მეტრი). აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები შერჩეულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, **სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.**

აქვე დავძენთ, რომ დასარგავი ხის ნერგების გარშემოწერილობა უნდა იყოს მიწის ზედაპირიდან 0,1 მეტრ (10 სმ) სიმაღლეზე ,არანაკლებ 20 სანტიმეტრი და არა 1,3 მეტრ სიმაღლეზე **(აღნიშნული აგრეთვე, უნდა შესწორდეს საინფორმაციო დაფაზეც (ბანერზეც)).**

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

ასევე, მოგახსენებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

დამატებით გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის 5^1-ე პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



თბილისი, 28 თებერვალი 2020 წელი

გამწვანების პროექტი არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისათვის

მისამართი: თბილისი, ქინძმარაულის ქუჩა N 5;
საკადასტრო კოდი: 01.19.34.003.045;
ფართობი: 1000 კვ. მ.

პრეამბულა. საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების თანახმად (იხ. საქართველოს მთავრობის დადგენილება N79, 2018 წლის 15 თებერვალი), მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო გახდა გამწვანების პროექტის მომზადება, რომელიც მშენებლობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის მიზანს ემსახურება. სწორედ ამ მიზანს დავუქვემდებარეთ წინამდებარე პროექტის შემუშავება, რომელიც ათვისების კ-3 კოეფიციენტის ფარგლებში შევადგინეთ.

წინასაპროექტო ჩარჩო მოცემულობა. ტერიტორია, რომლის მიმართაც გამწვანების წინამდებარე პროექტი დაიგეგმა არის არსებულ საკადასტრო კოდით იდენტიფიცირებული მიწის ნაკვეთი და შეადგენს 1000 კვადრატულ მეტრს. არა სამშენებლო ნაწილზე შენარჩუნებული იქნება მიწის ბუნებრივი ზედაპირი და გამოყენებული იქნება როგორც გამწვანების ობიექტი(ფართობი).

კ-3 კოეფიციენტის გამწვანების ფართობი. აღნიშნულ ფართობს 317,67 კვადრატული მეტრი უკავია, ხასიათდება ბრტყელი, მოსწორებული ზედაპირით დახრილობის გარეშე. მისი შეფარდება პროექტირებით განსაზღვრულ მთლიან ფართობთან 0,3 - ის ტოლია (კ-3 კოეფიციენტი). მოცემულ ფართობზე იზრდება 4 ძირი კანადური ვერხვი (Populus deltoides). აღრიცხული ხეების დეტალური მახასიათებლები მოცემულია ცხრილში. დოკუმენტს თან ერთვის მათი ლოკაცია ცხრილის შესაბამისი ნუმერაციით არსებულ და საპროექტო ტოპო გეგმაზე. მათი მდებარეობა დასარგავ ხეებთან ერთად ასევე ნაჩვენებია მცენარეთა ექსპლიკაციის საპროექტო გეგმაზეც.

არსებული ხეების აღწერის ცხრილი

N	სახეობა	დიამეტრი მიწის ზედაპირიდან (სმ)		სიმაღლე (მ)	ძირის ამონაყარის რაოდენობა	სასიცოცხლო მდგომარეობა 1–ჯანსაღი; 2–დასუსტებული; 3–ხმელი
		(D) 0,1 მეტრზე	(D) 1,3 მეტრზე			
1	კანადური ვერხვი	69	61	20	1	1
2	კანადური ვერხვი	65	60	18	1	3
3	კანადური ვერხვი	70	66	18	1	1
4	კანადური ვერხვი	94	89	21	1	1

ნაკვეთზე არსებული ხეების მოჭრა, ან გადარგვა. ამ ეტაპზე პროექტის ფარგლებში არსებული ოთხი ხის მოჭრა, ან გადარგვა არ იგეგმება, რადგან არცერთი არ ყვება სამშენებლო არეალში. თუმცა ამათგან ერთი კანადური ვერხვი (ცხრილში N 2) გამხმარია და ამიტომ რეკომენდირებულია მისი მოჭრა.

ათვისების შესაძლებლობა. არსებულ ფართობზე 4 მდგარ ხესთან ერთად მიზანშეწონილად მივიჩნევთ დამატებით 3 სახეობის, 10 ძირი ხის დარგვას და ერთი სახეობის 13 ძირი ბუჩქის დარგვას. ხეების დაჩრდილვისაგან მეტნაკლებად თავისუფალ მიწის ზედაპირზე გასამწვანებელი ფართობი ბალახოვანი საფარის მოწყობის საშუალებასაც იძლევა. ასეთი ღია გაზონის მისაღებად შეიძლება დაიგოს ბალახის მოჭრილი კორდი, ან ბალახოვანი კორდის შესაქმნელად დაითესოს კოინდარი (Lolium multiflorum). ბალახოვანი საფარი მოეწყობა საპროექტო შენობის შიგა ეზოში.
გამწვანების საერთო ფართობის 317,67 კვ. მეტრიდან - 137 კვ. მეტრზე მთლიანად იქნება მიწის ღია ზედაპირი ბალახოვანი საფარით, 126,3 კვ. მეტრზე დაიგება წყალგამტარი ცხაურა ფილები, რომელზეც ასევე უნდა მოეწყოს ბალახოვანი საფარი. ქუჩის პირზე გამომავალი მიწის ზედაპირის ნაწილი კი, რომლის საერთო ფართობია 54,4 კვ.მ-ია დაიფარება მულჩით. (ამ ფართობების მდებარეობა იხილეთ თან დართულ მცენარეთა ექსპლიკაციაზე).

დასარგავი ხე-მცენარეები. დასარგავი ხის სახეობები ხე-მცენარეების იმ პრიორიტეტული სახეობრივი ნუსხიდან ამოვარჩიეთ, რომელთა ჩამონათვალიც სპეციალურად თბილისის კლიმატისა და მისი ლანდშაფტის გათვალისწინებით იქნა შედგენილი (იხ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N 05. 14. 147 განკარგულება).

ამ ნუსხიდან ჩვენ ვიძლევით ხის 3 სახეობის: - იტალიური ფიჭვის, კავკასიური ცაცხვის და ჩვეულებრივი ნუშის დარგვის რეკომენდაციას. (ხეების ლათინური სახელწოდებები იხ. ქვემოთ ცხრილში)
რეკომენდირებული 3 სახეობის გარადა ვუთითებთ ალტერნატიული ხის სახეობებსაც, რომლებიც ასევე ძირითადად დადგენილი ხეების სიიდან არის ამორჩეული და განისაზღვრება შედგენილი ცხრილის მიხედვით. (ალტერნატიული ხის სახეობების მახასიათებლები ისეთივეა, როგორიც ჩვენს მიერ რეკომენდირებული სახეობების).

N	რეკომენდირებული სახეობები	ალტერნატიული სახეობები				
1	იტალიური ფიჭვი (Pinus pinea)	ჰიმალაის კედარი (Cedarus deodora)	ვერცხლისფერი ნაძვი (Picea pungens glauca)	ესპანური სოჭი (Abies pinsaro)	კავკასიური სოჭი (Abies nordmanniana)	——
2	კავკასიური ცაცხვი (Tilia begoniifolia)	იაპონური სოფორა (Sophora japonica)	ცრუ აკაცია (Robinia pseudoacacia)	ჩვეულებრივი იფანი (Fraxinus excelsior)	ამერიკული ცაცხვი (Tilia americana)	ნეკერჩხალი/ ლეკა (Acer platanoides)
3	ჩვეულებრივი ნუში (Amygdalus communis)	ჭალაფშატა (Elaeagnus angustifolia)	დეკორატიული წით. ტყემალი (Prinus virginia "canada red")	ქართული ნეკერჩხალი (Acer ibericum)	ირმის რქა (Lagerstroemia indicia)	არღავანი (Cercis siliguastrum)

დასარგავი ბუჩქებიდან რეკომენდაციას ვუწევთ 13 ძირ იაპონური ჭანჭყატს, რომელებიც შიგა ეზოში უნდა დაირგოს.

N	რეკომენდირებული სახეობები	ალტერნატიული სახეობები		
1	იაპონური ჭანჭყატი (Euonymus japonica)	იაპონური აუკუბა (Aucuba japonica)	იაპნური კვიდო (Ligustrum japonicum)	——

მწვანე ნარგავების განლაგება. სულ, კ-3 კოეფიციენტის გამწვანების ფართობი წარმოდგენილი იქნება 13 ძირი ხით და 13 ძირი ბუჩქით. აქედან 3 (კანადური ვერხვები) არსებული ხეა. მთლიანი გასამწვანებელ ფართობი - მწვანე გაზონით (კოინდარით) და ცხაურა ფილებით, ნაწილზე კი დაიყრება მულჩა.
ხეებიდან დაირგვება 4 ძირი კავკასიური ცაცხვი, 5 ძირი იტალიური ფიჭვი და 1 ძირი ჩვეულებრივი ნუში. ხოლო ბუჩქებიდან, 13 ძირი იაპონური ჭანჭყატი. მათი სივრცობრივი ლოკალიზაცია, ისევე როგორც ბალახოვანი გაზონის, ცხაურა ფილების და მულჩის განლაგების ადგილი, მოცემულია თანდართულ სქემაზე (იხ. დოკუმენტის ბოლოში მწვანე ნარგავების ექსპლიკაცია საპროექტო ტერიტორიაზე და ფოტომონტაჟი). ხეებთან მიმართებაში ყველგან დაცულია შენობა-ნაგებობიდან დასაშვები მინიმალური დისტანცია 3 მეტრი.

დასარგავი ხეების ზომები. გამწვანების სასურველი ვიზუალური ეფექტის მისაღებად, საჭიროა დაცული იქნას დასარგავი ხეების ზომების მიმართ წაყენებული მოთხოვნები. მოთხოვნილი სტანდარტის თანახმად, ჩვენს მიერ რეკომენდირებული ფოთლოვანი ხის სახეობების ნერგების სიმაღლე უნდა იყოს არა ნაკლებ 3,5 მეტრი, წიწვოვანის კი არა ნაკლებ 3 მეტრი. მათი ღეროების გარშემოწერილობა (1,3 მეტრის სიმაღლეზე) უნდა იყოს არანაკლებ 20 სანტიმეტრი. ზემოთ აღნიშნული პარამეტრების გათვალისწინებით ახალგაზრდა ხეების სავარაუდო ხნოვანება 9-დან-14 წელია.

ხეების და ბუჩქების დარგვის გეგმა.

ა)ტერიტორიის გასუფთავება. დასარგავი ორმოების ამოთხრამდე საჭიროა ადგილის გასუფთავება. გასუფთავებაში ვგულისხმობთ ტერიტორიის გაწმენდას ნაგვის, სამშენებლო ნარჩენების, ლითონის ნივთების, შუშის ნამსხვრევებისა და პოლიეთილენის პარკებისაგან. მოგვიანებით, სასურველია სარეველა მცენარეებისაგანაც გაიწმინდოს ბალახოვანი გაზონი; აგრეთვე, ხეების ირგვლივ არსებული ერთმეტრიანი ზოლი.

ბ)ორმოების ამოთხრა. ორმოები წინასწარ უნდა იყოს დასარგავი მცენარეებისათვის ამოთხრილი. ორმო იმაზე ღრმა და განიერი უნდა იყოს, ვიდრე სარგავი მასალის - ხეების თანმოყოლილი მიწის კომია. ეს აუცილებელია იმისათვის, რათა დარგული ხეების ფესვთა სისტემა უფრო თავისუფლად განვითარდეს.

გ)დარგვა. დასარგავი ხეები ადგილზე მიტანისთანავე უნდა დაირგოს. ამისათვის საჭიროა სარგავი მასალა გავათავისუფლოთ კონტეინერული თუ სხვა სახის შეფუთვისაგან, წინასწარ ამოთხრილ ორმოებში მოვათავსოთ და მიწა მივაყაროთ.

პროექტის დაწყება-დასრულება. გამწვანების პროექტის განხორციელება მას შემდეგ უნდა დაიწყოს, როდესაც პროექტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობების აშენება დამთავრდება.

გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღი: გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღი დადგინდება მას შემდეგ, როგორც კი მშენებლობაზე ნებართვის გაცემა მოხდება და დადგინდება მშენებლობის დაწყება-დამთავრების ზუსტი თარიღები.

გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი: გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი ასევე დაზუსტდება მას შემდეგ, როცა უკვე მშენებლობის დასრულების თარიღი დადგინდება. გამწვანების პროექტის დაწყება-დამთავრების დროითი მონაკვეთი განისაზღვრება 1 თვით. გამწვანების პროექტი დასრულებულად ჩაითვლება ზემოთ აღწერილი ნარგავების დარგვის გეგმის დასრულების შემდეგ.

ნარგავების მოვლა-პატრონობა და მოვლის ხანგძლივობა. ახლად დარგული ხეების ხმობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მათი ფიზიოლოგიურად აქტიური, წყლის შემწოვი ფესვების დასუსტებაა(დაკარგვაა). ამიტომ აუცილებელია თავიდანვე მიექცეს ყურადღება ახლად გაშენებული მცენარეების წყლით უზრუნველყოფას. დარგვიდან პირველი 2-3 წლის განმავლობაში ხეები საჭიროებენ ინტენსიურ მოვლას, რაც ერთი მხრივ მდგომარეობს ფესვებისათვის ჟანგბადის მიწოდების გაძლიერებაში, ნიადაგის გაფხვიერების(აჩიჩქვნის) გზით, ხოლო მეორე მხრივ დარგული მცენარის კვების გაუმჯობესებაში ნიადაგში მინერალური სასუქების შეტანის გზით. იგივე ეხება ბუჩქებსაც. ნარგავების ინტენსიური მოვლის ხანგძლივობა გამწვანების პროექტის დასრულებიდან 3 წელი იქნება.

პასუხისმგებლობა განხორციელებაზე და მოვლა-პატრონობაზე. პასუხისმგებლობა პროექტით გათვალისწინებული ხეების/გაზონის გაშენებაზე (მულჩირებაზე) შემდგომში კი მათ მოვლა-პატრონობაზე, ეკისრება ნაკვეთის მესაკუთრეს, ბორის ხატიაშვილს (P/N: 01024044086). ყოველი დარგული, ან არსებული ხის დაღუპვის შემთხვევაში მესაკუთრე ვალდებულია გამხმარი ნარგავი ჩაანაცვლოს ახალი, სტანდარტული ზომების მქონე ნერგით.

ივანე ტარასაშვილი (დენდროლოგი)

(ხელმოწერა) _____




2500
2500
2500
2500
2500
2500
5500
2500
6500
6500
2500
2500
2500
200
200
5500
200
900
6500
1750
5100
2500
5000
Euonymus japonicus
Tilia begoniifolia
Amygdalus communis
Pinus pinea





გამწვანების პროექტი	
მისამართი:	თბილისი, ქინძმარაულის ქუჩა N 5;
საკადასტრო კოდი	01.19.34.003.045
გასამწვანებელი ტერიტორიის ფართობი	317,67 კვ.მ.
კ-ვ კოეფიციენტი	0,3
დასარგავი ხეების რაოდენობა და სახეობები	იტალიური ფიჭვი-5 ძირი, კავკასიური ცაცხვი-5 ძირი, ჩვეულებრივი ნუში-1 ძირი.
დასარგავი ხის ნერგების პარამეტრები უნდა იყოს შემდეგი:	ფოთლოვანი ხის ნერგის სიმაღლე: არა ნაკლებ 3,5 მეტრი; წიწვოვანი ხის ნერგის სიმაღლე: არა ნაკლებ 3 მეტრი; ნერგის ღეროს გარშემოწერილობა (1,3 მეტრ სიმაღლეზე): არა ნაკლებ 20 სანტიმეტრი.
დასარგავი ბუჩქების სახეობები:	იაპონური ჭანჭყატი 13 ძირი.
დასარგავი ხე-მცენარეების ასაკი:	დასარგავი ხეების პარამეტრების გათვალისწინებით მათი სავარაუდო ასაკი იქნება 9-14 წელი; ბუჩქების სავარაუდო ასაკი - 2-5 წელი.
გაზონი	კოინდარი
პროექტის განხორციელება და ვადები:	
პროექტის შეთანხმების თარიღი	
პროექტის დასრულების თარიღი	2022 წელი
პროექტის განხორციელების ხანგძლივობა	2 თვე
მცენარეების მოვლაზე პასუხისმგებელი პირი	ზორის ხოსიტაშვილი, ნაკვეთის მესაკუთრე.
მცენარეების ინტენსიური მოვლა-პატრონობის ვადები	პროექტის დასრულებიდან 3 წელი

შპს MAGNITUDE

მისამართი: სანაპიროს ქ. № 2 ა
III სად, I სართული ტელ: 2934017

ტოპოგრაფიული გეგმა



უხილავი კომუნიკაციები ნახაზზე დატანილია საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მახასიათებლების მიხედვით. ობიექტის მშენებლობის დაწყებამდე აუცილებელია ადგილზე დამატებითი კომუნიკაციების გამოკვლევა.

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, ჭინჭარაულის ქუჩა № 5	ნაკვეთის ფართობი: 1000 კვ.მ	შემსრულებელი გ. კუსრაშვილი
დასრულების: არასასოფლო-სამეურნეო	თარიღი: 19.07.2019	დამკვეთი

პ ი რ ო ბ ი თ ი

- მტკვრის არასაცხოვრებელი
- ქუჩის საცხოვრებელი
- ქუჩის არასაცხოვრებელი
- დანგრეული შენობა
- მშენებარე
- დენი
- ფარული
- კაბე
- ბეტონის კედელი
- ბეტონი
- რეფერატი
- ნაკვეთის პოლიგონი
- სერიტური

ა ღ ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

- შლაგბაუმი
- გზის სიგანის მანიშნებელი
- მიღარი გზა
- ავტობანი
- ავტომანქანის მოძრაობის აკრძალვა
- ლანდშაფტზე გადასახედველი
- შუქნიშანი
- ავტომანქანა
- ველო-ხოლი
- ბენზინი
- ზებრაზე გადასახედველი
- ავტომანქანის გაჩერების ადგილი
- ავტომანქანის მოძრაობის ნიშანი
- მიწისქვეშა გადასახედველი

- ჭა
- კოლონა
- რეპერი
- ტელეფონი
- წისქვილი
- სასაფლაო
- ჯვარი
- სარწყავი ჭ.
- წყალი
- ღრმაზ
- პარკში/სკვერში მდებარე ხეები
- 100 მ-მდე დიამეტრის ლითონის ხეები
- ქოლგა
- ბანერი

- ბუჩქი
- გვალვაგამძლე ბუჩქი
- ფუთლოვანის ბუჩქი
- მდელო ბალახი
- ხეთიბი ; ეკალხი
- პალმის ხე
- ფოთლოვანი ხე
- წიწვოვანი ხე
- გამხმარი ხე
- ლითონის ხეები
- ჭალობი
- ელ. გადამც. განათების ბოძი
- ელ. გადამც. ბოძი
- საჰაერო ელ.გადასაზიდი
- ელექტრ. გენერატორი
- განათება
- დენი
- კავშირგაბმულობის ანძა

- სატელეფონო ხაზი
- ელ.გადამცემი ხაზი, გარე განათების თუთიმბოდი
- სატელეკომუნ. სისტემა (მიწისქვეშა)
- გაზი
- მტკნარის ღობე
- ბეტონის ღობე, ღობე
- ბეტონის ღობე, ღობე
- წყალი
- ისოზოფსი
- რელიეფის ჭრილი (ფერდი)
- რელიეფის ჭრილი (ქანაპები)
- კოორდინატთა ბადე
- 450.50 ნიშნული-ათ.წ.(ბალტიის ზღვის დონე)

შპს Magnitude Ltd 404894156

მასშტაბი 1: 500
რელიეფის კვეთის სიმაღლე არის 1.0 მ.



საპროექტო შენობის
კონტური
არსებულ ტოპო-გეგმაზე


2
3

წერილის ნომერი: **18-01193042313**
თარიღი: **31/10/2019**
პინი: **1970**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2019 წლის 25 ოქტომბრის №60-0119298225 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (თორნიკე ერისთავის №AR1711516 განცხადებით წარმოდგენილი მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა; ტოპო. გეგმა), რომლითაც განმცხადებელი ითხოვს, ბორის ხატიაშვილის საკუთრებაში არსებულ საკადასტრო ერთეულზე (ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩა N5, ს.კ.: 01.19.34.003.045; ფუნქციური ზონა: სზ-6) IV კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას.

გაცნობებთ, რომ „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში მოხსენებული, როგორც „კანონი“) მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება“) 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ასევე, წარმოდგენილი მწვანე ნარგავების საექსპერტო დასკვნისა და ტოპო. გეგმის გათვალისწინებით, 1 ძირი კანადური ვერხვი (N2-დ.65სმ) არის ზეხმელი, რომელიც მდებარეობს სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე, შესაბამისად მოცემული ტერიტორიიდან ზეხმელი ხის გამოთავისუფლების მიზნით, **სამსახური თანახმაა გასცეს ზემოაღნიშნული 1 ძირი კანადური ვერხვის მოჭრის ნებართვა მას შემდეგ, რაც განმცხადებელი წარმოადგენს სათანადო წესით გაცემულ მშენებლობის ნებართვასა და დადგენილების 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლის შესყიდვის თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელშიც უნდა მიეთითოს შესყიდული მცენარის სახეობა, ზომა და სამ წლიანი მოვლა-პატრონობის ვალდებულება.**

აქვე დავძენთ, რომ ნებართვის მიღების შემდგომ განმცხადებელს ევალება საკომპენსაციო რგვის ფარგლებში 1 (ერთი) ძირი არანაკლებ 3,5 მ სიმაღლის ფოთლოვანი ან/და არანაკლებ 3 მ სიმაღლის წიწვოვანი ნერგის დარგვა (ნერგის გარშემოწერილობა უნდა იყოს არანაკლებ 20 სანტიმეტრი). დასარგავი მწვანე ნარგავის სახეობები უნდა შეირჩეს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან. საკომპენსაციო რგვის ვალდებულება მოიცავს, როგორც ნერგის დარგვას, ასევე მის შემდგომ მოვლა-პატრონობას დარგვიდან სამი წლის განმავლობაში. **საკომპენსაციო რგვის ფარგლებში მწვანე ნარგავი უნდა დაირგას იმავე ტერიტორიაზე.**

ამდენად, სამსახური გასცემს დადებით რეკომენდაციას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენასთან დაკავშირებით ჯანსაღი მწვანე ნარგავების შენარჩუნების ვალდებულებით.

ინფორმაციის სახით მოგახსენებთ, რომ II, III და IV კლასის შენობა-ნაგებობის არქიტექტურული

პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი (**გარდა II კლასს მიკუთვნებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, ასევე იმ შენობა/ნაგებობების არქიტექტურული პროექტებისა, რომელთა შეთანხმება მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის იმ ფუნქციურ ზონაში, რომელშიც კ-3 კოეფიციენტი არ არის განსაზღვრული**), სადაც განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი გარემოებები: შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა; სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი ნარგავებით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და ხმობას. შესაბამისად, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ამ სახეობის ფიჭვების დარგვა. ასევე, სამსახური უპირატესობას ანიჭებს მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და ყვავილებთან მიმართებით (**გარდა, კვიპაროსის, ელდარისა და შავი ფიჭვისა**).

ასევე, ვერხვის სახეობები ტენის მოყვარული მალე მზარდი ხეებია, მათ გააჩნიათ საკმაოდ ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც ვითარდება წყლის მიმართულებით. შესაბამისად, ურბანულ სივრცეებში, შენობა-ნაგებობების, წყალ-გაყვანილობისა და კანალიზაციის მილების დაზიანების გამომწვევი მიზეზი ხშირად ხდება. ასევე, მათი დაბალი ამორტიზაციის ასაკის გამო ვერხვის მტვრევადი ტოტები და წაქცევის საშიშროება საფრთხეს უქმნის მოსახლეობასა და კერძო საკუთრებას. აგრეთვე, ყვავილობის პერიოდში ვერხვის ბუსუსოვანი თესლი ჰაერში აქტიურად იფანტება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ალერგიის მქონე ადამიანებს; ასევე, ვინაიდან ვერხვი თავისი ჰაბიტატითა და სასიცოცხლო ფუნქციით ტენიანი ტერიტორიების ბინადარია და მისი აგრო-დეკორატიული დანიშნულება ქარსაცავი ზოლის შექმნაა, ის უნდა დაირგოს დასახლებიდან მოშორებით. შესაბამისად, **შესაძლო ზიანის პრევენციისათვის, მიზანშეწონილი არ არის ალვის ხის დარგვა ინტენსიურად დასახლებულ უბნებში.**

აქვე დავძენთ, რომ განმცხადებელმა გამწვანების პროექტში უნდა გაითვალისწინოს არსებული და გადასარგავი ნარგავები, ასევე, გასაშენებელი (დასარგავი) დიდი ზომის ვარჯის მქონე წიწვოვანი ან/და ფოთლოვანი ხეები (ფოთლოვანის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3 მეტრი (ნერგის გარშემოწერილობა არანაკლებ - 20 სანტიმეტრი)).

დასარგავი მცენარის სახეობა უნდა აარჩიოთ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი